ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2826590

ნომერი: AR1438196

თარიღი : 07.09.2016

გაცემის თარიღი : 09.09.2016

გაცნობის თარიღი : 09.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი 5 , კორპუსი 26 , და 26ა კორპუსების მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ცოგოშვილი პ/ნ 01021007479
- თბილისი ზღვისუბნის დას. III მ/რ IV კვ. კორ. 53 ბ. 19

ორგანიზაცია:

- შპს საოჯახო კვება კოდი: 404495051

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "საოჯახო კვება"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404495051
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ ცუგოშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01021007479

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2737923
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 27.07.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. საჭიროა პირველ რიგში საკითხი შესაბამისი განაცხადის საფუძველზე დააყენოთ კოეფიციენტის მომატებაზე გაცემულ განკარგულებაში ცვლილებაზე, მასში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის თანხის და ანგარიშის რეკვიზიტების (რომელზეც უნდა განხორციელდეს თანხის გადახდა) დაფიქსირების მიზნით.
2. დამატებით ფაილში ატვირთეთ ამონაწერში დაფიქსირებული იპოთეკარის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
3. ველში -> საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება -> საექსპერტო შეფასების pdf ფაილი: შეავსეთ შემსრულებელი ექსპერტის მონაცემები. ასევე, უნდა მიუთითოთ ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან ატვირთეთ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
4. ველში -> დამკვეთის ინფორმაცია -> დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი: გვარი მიუთითეთ სწორად.
5. ველში -> მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი -> მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი: კალენდარული გრაფიკი უნდა მოიცავდეს კონსტრუქციულ დასკვნაში მითითებულ გამაგრებით სამუშაოებსაც. ასევე, საჭიროა დააკონკრეტოთ სადემონტაჟო სამუშაოები (რა ნაწილის დემონტაჟი ხდება).
6. ველში -> არსებობის შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი -> განმარტებითი ბარათის pdf ფაილი: არასწორია, ანგარიში უნდა მოახდინოთ თითოეული ფასთა ზონისთვის ცალ-ცალკე და ჯამურად უნდა იანგარიშოთ გადასახდელი თანხის ოდენობა. ასევე, საჭიროა მიუთითოთ საანგარიშო ფორმულაც (რის მიხედვითაც ანგარიშობთ გადასახდელ თანხას), ორივე ფასთა ზონისთვის ცალ-ცალკე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.